

განყ. 98057
წიგნ

საქართველოს
ბიბლიოთეკა



1910 სათავადო სალიტერატურო აღწერა № 26

კვირა, 4 ივლისი

ფასი 10 კაპ



ბიბლიოთეკის № _____
 კაბინეტის № _____
 მისამართი № _____
 ქალაქი _____
 სახელი 98057

მუსიკოსი გ. ი. ნატრაძე
 (+ 1 ივლისს 1910 წ.)

ექ. ვ. დ. ლამბაშიძის

ს-ა-ნ-ა-ზ-მ-რ-ი-შ-მ-ი

პატარა ცემფი

ბაკურიანის რკინის გზაზე, 4,400 ფ. სამალე

გ ა ი ხ ს ნ ე ა ბ 15 ი ვ ნ ი ს ი ღ ა ნ 31 მ ა რ ი ა მ ო ა ბ ი ს თ ვ ე მ ე ლ

ორის განყოფილებით, ერთი — საბავშვო, მეორე — დიდებისთვის.

პირობების გასაგებად წერილით უნდა მიმართონ **ბორჯომით** პატარა ცემს ექიმს
ვატანგ ლამბაშიძეს.

2—10

თაღისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფ.

და არის ეოველ დლე გარეშე

მოსიარულე ავადმყოფთათვის ქსენიას ძუჩა, სახლი № 7 „მეტეელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ. შინ. და ბავშვ. ეოველ დლე; გარდა კვირას. 11—12 საათ.

გელევანიშვილი მ. ა. სერ. და ელექ. ორშ., ოთხშ., და შარ. 10¹/₂—11 საათ.

გორბოვსკი-ზარანკი ე. ვ. თვალის, ეოველ-დლე კვირის გარდა 11—1 საათ.

ზურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ. ეოველ-დლე კვირას გარდა 2¹/₂—3¹/₂ საათ.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბათ. 10—12 საათ.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი ორშ. და ოთხშაბ. 9—10 საათ.

მანვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და შარს. 1—2 საათ.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ეოველ-დლე 12—1 საათ.

პირადოვი რ. ბ. ეოველ-დლე 11—12 საათ.

პაპოვი ვ. ა. უორ., ეელის, და ცხვირ. ეოველ-დლე გარდა შარს. 2—2¹/₂ საათ

სობოლევსკი გ. ვ. ქირ. ეოვ. -დლე 9—11 საათ.

სამკურნალო აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც ვინაგებს ექიმი **ვ. მ. ფედოროვი.**

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანათიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონი თამ., მასაჟი ყუვილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით.

ვაგსლის კერძო სამკურნალო

გარედან ეოველ დლე მოსიარულე ავადმყოფთათვის, ვოვზლის ქუჩა, № 8, ხ. ვნდიანჯიანისა, ტელეფ. № 695.

3. **ვაშყამიძე** — ეოველ დლე 9—11 საათ. კვილის ავადმყოფ.

შ. **ა. მიქელაძე** — ეოველ დლე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1¹/₂—2¹/₂ საათ.

ა. **ნ. დიასამიძე** — ეოვ. დლე, 11¹/₂ საათ. სიფილისი, კანისა და ვენ.

ბ. **მ. მელიქიშვილი** — ეოველ დლე, ქირურგ. და ქალეხის, 1—2 საათ.

ბ. **ა. პოპოვი** — ეელ. უორ. და ცხვირ. ეოველ დლე 12—1 საათ.


3. **გ. ფედოროვი** ეოველ დლე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფთაზა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყუვილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

ცოდნა „ს“ ვიგნის მალაზია

(გოთარეკეის ქუჩა, ალექსანდრეს ბღის ზირღანორ) ავრცელებს სასარგებლო შინაარსიან ვიგნებს და სოჯახო სურათებს. იქვე ისყიდება ქართულ-რუსული სხვა-დასხვა სახელმძღვანეოები. მოსამართი: Тифлисть, Книжный Магазинъ «Подна» Юс. Ник. Меркვილადე. მალაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.**



№ 26

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ღრ. სახ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან. Тифлисъ. Редакция «Театри да Цховრება»
Иос. Зах. Имедашвили
ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება.— ხელნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.— რედაქტორთან პირის-პირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 12—2 ს. ტ. საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 862

№ 26 კვირა, 4 ივლისი 1910

რედაქცია დაბეჯითებითა სთხოვს ხელის მოწერელთ ფულის გამოგზავნა დააჩქარონ.

4 ივლისი 1910 წ.

დამსხვრით სული- პოლიტიკურ-ეკონომიკური ბორკილი. ურმა პირობებმა თავისი გავლენა პოეზიას ზ ხელოვნებაშიაც გადაიტანა... შექმნა თავისებური კარჩაკეტლობა, სექტანტობა...

თითქო ხელოვნებაში, პოეზიაში რადენიმე „ქეშმარიტება“ იყოს, რადენიმე „სიმართლე“, — თითქო ერთი და განუყოფელი არ იყოს ჭეშმარიტება და ყოველი ქეშმარიტი მხატვარი, პოეზიის ნამდვილი ქურუმი ერთსა და იმავეს არ ემსახურებოდეს...

მაგრამ რაც უნდა ბევრს ეცადონ აზროვნების მეზობრივნი, ადამიანის სულს მაინც ვერ შესწურთავენ, ვერ შეპბორაკვენ აღმაფერენის მისწრაფებას...

დაე, იყოს პარტიულ-შოვინისტური განკერძოება, ხელოვნების ღვთიური ცეცხლი მაინც მოსპობს ამას.

დაე, იყოს ეროვნულ-შოვინისტური მიდრეკილებანი, საერთაშორისო უმაღლესი სულის მატარებელი იღვა მას მაინც დააცხრობს...

დაე, იყვენ ადამიანნი წვრილმანნი, ურთიერთისადმი შურღვარძლიანობით შეპყრობილნი, პოეზიის ზენაარი შექმენი სხივი მაინც ყოველთა ქვენა ვნებათ დაამხოვს...

ნახევარი წლის წინად ჩვენის ჟურნალის პირველ ნომერში, სხვათა შორის, ვიმობდით: ... „რომელამუ განკერძოებულა ზარტას, წადება ჩვენთვის არ არსებობს, — ჩვენა რწმუნაა ხელაფეხებს უმაღლეს მითხიფენიება-მასწრაფებათა დაცვა და

განვითარება იმდენად, რადენადაც ავა ხალხთა შეერთებას, ამაღლებასა და მათ შორის სოფადარობას განმტკიცებას ემსახურება“...

აწუცა თამამად ვაწვავრძობთ სვლას არჩეული გზით იმ რწმენით, რომ ვისაც გულში უღვივის მკირვდი ნაპერწყალი მაინც ღვთიურის გრძნობისა, შეენიერებისა, სიყვარულისა, უმაღლესისა, წამებულ სულის ზემაღლებიისა, თავის ხმას კვლავცა შემოგვიერთებს ძლიერის ნაკადის შესაქმნელად...

დროა—ვისაც ჯერ კიდევ არ შეუგვინა შეიცნობოს, რომ ადამიანთა ზნეობრივ-გონებრივად დაწინაურებაში პოეზიისა და ხელოვნების სამეფოს უღარესი ადგილი უკავია და მუნ ყოველნი—„გინა ებრაელი, გინა ქრისტიანი, გინა მაჰმადიანი“—ერთნი არიან, სხვა-და-სხვა შტოს მქონებელნი...

ჩვენი ორგანო არ არის ორგანო რომელიმე სექტანტურ წრის, ანუ პარტიის კუთვნილება: ნურც ვისმეს ჰგონია აქ ადგილი მოიპოვოს თავის კერძო ქადაგებათა გავრცელებისთვის...

ჩვენი მიზანი უმაღლესია, სნეტაკი... ვინც პოეზიისა და ხელოვნების ქეშმარიტი მსახურია, ნამდვილი ქურუმი, ჩვენთან იქნება და ხელს შეუწყობს ადამიანთა სულიერ ბორკილების დამსხვრევას!..

ჭეინეს სიმღერებიდან

როცა შენ წელზე მკლავით მომექდე, სულმა დამტოვა, — ცად აღეტყორცნა... შენ დავეკონე და შენთა ბაგეთ ვნებთ აიოვსკვენ ნეტარი კონა!

ბაზილიანა

ნამდვილი აზვანი

ნ ი ა ლ ე ა რ ი

ჩემი სახლის აივანში დიდი ხანია მერცხლები ჰბუდობენ და, რადგანაც ხელ-შემშლელი არაინა ჰყავთ, მრავლდებიან. გაზაფხულის პირად რომ ჩვენშივე ცხელი ქვეყნებიდან ბრუნდებიან, ძველები ისევ შარშანდელ ბუდეს უბრუნდებიან და ახალ ბუდეს მხოლოდ შარშანდელი ბარტყები იკეთებენ. ასე მიდის იმათი საქმე წლიდან-წლამდე ხელ-შეუშლელად. მხოლოდ წელს-კი, 1910 წელს, უჩვეულო რამე მოხდა: ერთი ქიქვაკი ჩაეპარა მერცხალს ბუდეში, მოიკალათა და შიგ მერცხალს აღარ უშვებდა... იკორტნებოდა. მეორე დღეს მოჰფრინდა მერცხლის გუნდი, ყველას ტლაზი მაქანდა პირით, დაუწყეს ბუდეს გაღვსა, ასე რომ, თუ ქიქვაკი არ გამოფრენილიყო, შიგ ბუდეში გამოიხრჩობოდა... მაგრამ რომ დაინახა, აქ ხუმრობა აღარ არისო, როგორც იქნა გაასწრო. იმ საღამოსვე გაჩნდა ქიქვაკის გუნდი და დაერია მერცხლებს. შეიქმნა ერთი წვილ-ქვილი. ჰაერში მერცხლები სჯობნიდნენ, რადგანაც ბრტყალს გაჰრავდნენ ხოლმე მაგრამ ბუდეში-კი, რაღაი შეასწობდნენ და კორტნაზე მივარდებოდა საქმე, ქიქვაკები იმარჯუებდნენ. ზოგან ბუდეში-კი დაანჯრის. გამარჯვება ქიქვაკებსა რჩებოდა, მაგრამ მე ჩავერიე გამშველელად: ქიქვაკები აღარ შემოვუშვი აივანში. დაინახავდი თუ არა შემოფრენილს, მაშინვე გავდევნიდი ხოლმე. სამი დღის განმავლობაში ყოლიფერი მიწუნარდა და ჩაღვა თვისვე წეს-წყობილებაში. მეც დიხხანს აღარ დავერჩენილვარ ჩემ სახლში.

მეორედ რომ დავებრუნდი, მერცხლის ბუდეები გამრავლებული დამიხვდა: სადაც ერთი ბუდე იყო, იქ მეორეც ზედ მიეტყუებოდათ მისთანავე და ცალში რომ მერცხალი ბუდობდა, მეორეც ცალში ქიქვაკი დაბუდებულიყო. ვინ გარობა? ან როგორ მორიგდნენ ეს სხვა და სხვა გვარის ფრინველები? და ან მერცხლებმა რად გადიხადეს კონტრიბუცია და გაუკეთეს ქიქვაკებს ბუდე?

როცა მზე მწვერვალს გადაოანათებს და სხივს დააძნობს თოვლიან მთაზე, უკვადებაა მაშინ მნათობის მშვენიერება და სილამაზე. მაგრამ როდესაც აღქაფებული ზეირი გზას ურხვეს მომსკადარ ნიაღვარს— ვინ გამოხატავს ამ მრისხანებას, რა სული შეტქმნის სტიქიას ამ გვარს? დადნე სხივი, სულო ციერო, ამ გაცივებულს, ნალვლიან გულზე, ტყბილი მორევი შემოვუბდება ჩვენს ყვაილებზე, ჩვენს სიყვარულზე. და თუ ოდესმე, ვით ნიაღვარი, გულის სიღრმიდან გრძნობა მოსკდება, ვფიცავ, რომ მევე მომკლავს, დამღუპავს ჩემივე ნალველი, ჩემივე ოცნება!..

გ. ტაბიძე

წინად და ახლა

წინად გისვამდი გულში; იქ სურნელები გიტკობდა ყნოსვას; შენს სილამაზეს ვარს ეხვევოდა ვარდებიანი ტოტები; ზევიდან ვარსკვლავი დაფათამაშებდა; შენ გიმღეროდა ბულბული... ჩემს გულში.

წავიდა დრო. ნისლმა და სუსხმა ძირი ამოუგდო ვარდისა ბუჩქებს; გამხმარ, დაკვივრულ ყვაილებს დაუეკარვა სურნელება, ვარსკვლავი ჩაქრა; მიუყნა ბულბული; ყველბფერი მიჩუმდა, სწუხს, ჩუმად კვნესის... ჩემს გულში.

მაშ, ახლა წალი! ეძიე სხვაგან ისევ ვარდები, სტვენა ბულბულის; ისევ ვარსკვლავმა გიყუროს თრთოლით, იასამანი შემოგეხვიოს! შენ არ მიღიხარ? არა?!

ეჰ, იყავ ჩემთვის თვით შენ ვარსკვლავი; ჩემის საფლავის ბულბულად იყავ; ყვაილის ბუჩქად შემოგეხვიე... მაგრამ დატყნები, როდესაც მკვდარსა ჩამბერავ სულსა უკვადებისას; მაგრამ დადნები, როცა ვერ ნახავ შენთვის საჭირო ჰაერს, მიდამოს სიმღერა-სინათლეს.

არა! არა მსურს! წალი და შვერჩეს, თუნდაც შორს ჩემგან, ეგ მიწვიერი შენი მშვენება! კიდევ არ მიხვალ? არა?!

მაშ, ისევ სანთლად შენ წინ დავდნები; ყვაილის ვიშოვი მყინვარის თავზე; ბულბულის სტვენას მოვასმენინებ... ისევ ჩემს განახლებულს გულში.

ნ. ლორთქიფანიძე

ლ ა მ ი თ

ოჰ, რა რიგ ბნელა!..

იქ კი, იქ შორს აღმოსავლისკენ
რა არი ნეტა რომ სხივივით ციმციმებს, კრთება?
თითქოს ყვავილთა ფშვინვაც ისმის მთის გადღამისკენ,
თითქოს სალხინოდ, სასიცოცხლოდ მეპატიყება!
ოჰ, აქ ვით ბნელა!..

გული მაინც რომ არ ღონდება?
ჩუ! ვგონებ კიდევ შვებით თრთის, ღალად ატოკდა;
დახე, განვლილი გაქირვება არ აგონდება,
კვლავ იმ გრძნობით ჰფეთქს, რა გრძნობითაც ოდესღაც თრთოდა...
სინათლეს ეტრფის...

ოჰ, აქ კი ბნელა!..

მაშ ვინ არი ამ უკუნეთში
იმ მწვერვალდან რომ მეძახის ასულის ხმითა?
ცხოვრების გერსა არ მასვენებს თვით ჯოჯოხეთში,
ჰაეროვანსა კოცნას მიძღვნის, მეტრფის გრძნობითა.
— შემიყვარეო, შევედრება...

ბნელეთის შვილი თუ იქნება?..

მაგრამ ჰა, აგერ,
ჩემსკენ მოილტვის... ვგონებ კიდევ მიახლოვდება!..
მომძეთ ვსთხოვ შველას და... ამაოდ... ამაოდ გავსცქერ...
მხოლოდ ნიავი, მთის ნიავი მეჩურჩულება.
სახეს მიკოცნის, —
ის კი...—სხვის მტყორცნის!..

აქ, აქ რომ ბნელა?..

— „ხა, ხა, ხა, ხა, ხა!“ —ვაჰმე, ეს ვინ გადიკისკისა?
შებეთ, ჰა, შეხეთ ვინ ყოფილა! —ასული ცისა!
მხარ-ბეჭებზე სცემს მშვენიერსა გიშრის დაღალი,
თავისუფლების შვილი არი, იცით? —მზე-ქალი,
ჩემი ღვთაება!..

შემფოთდა ბნელი...

ოჰ, ვით დაფთხენ ეგ საცოდაენი
ბნელეთის შვილნი... მათ ეშინიათ... სორობში იმალებიან...
მე კი სატრფო მყავს... ჰა, ელავენ ლამაზნი თვალნი,
მთის გადღამით კვლავ, კვლავ, ახალნი სხივნი კრთებიან,
შლიან თვის ალამს...

მეც ვუძღვნი სალამს!..

რათა?.. ოჰ, კაცნო, საცოდაენო, რა სულელნი ხართ,
აბა უსხივოდ, უსანათლოდ თქვენ რაღა ღირხართ?..
ის მზეთა-მზეთა... პირველ სხივის მღვე-თან მომყოლი,
მას ქვეყანაზე არ ჰყავს მზგავსი, არა ჰყავს ტოლი!
და... კიდევ მოიდს...

გსურთ გითხრათ როდის!?

აი, ამ შავ წყელიადის ნაცვლად
სისხლით შეფერილ, გულ-გაცრეცილ ცხოვრების ცაზე
მზე რომ ამოვა!..

მშენიარება

სერგეი მაკოვსკის წერილიდან

(გაგრძელება იხ. „თეატ. და ცხოვ.“ № 25)

როდესაც მორალურ თვალ-საზრისით შევხედავთ ისტორიულ ბედის გარდღველობას, ძალაუნებურად, ჩვენზე საკვირისა და გაუგებრობის ფარგალში ვიპყვედვით. ჩვენს ზურგს უკან ყოველივე ინგრევა. თითქო განმარტოებული აზრდილები ვართ. ორ უსაზღვროების შუა ვიყოფებით—მკედარ წარსულისა და არ არსებულ მომავლის შორის. ვეძებთ და პასუხი კი ვერ გვიპოვებია. რად არის, რომ საუკუნეთა კანონი სხვა და ზნეობრივ სინდისის სხვა?

რად არის, რომ ქვეშაობებისა და სიკეთის ძებნაში, ჩვენ— იმ მორალით აღზრდილებს, რომ უნდა გვეზიზღებოდეს სიცრუე, სიმდიდრე და განცხრომა—ბოლოს ასეთი რწმენა გვებადება, საუკუნოებაში, მარადისობაში მხოლოდ განგებ შეთხზული, მხოლოდ განცხრომისათვის შექმნილი ფუფუნებაა უფრო ძვირფასი და სანეტარო?

ან და რად არის, რომ, როდესაც ჩვენს ცხოვრებას ესტეტურ თვალ-საზრისით შევხედავთ, როდესაც გვინდა, მშვენიერების საშვალეებით გამოვარკვიოთ საიდუმლოება ჩვენის სულისა, სწორედ მაშინ სხვა ფარგლის საზღვარში ვდგებით ხლომე?

გონებისა, სინდისისა და ნების საკითხებზე მშვენიერება პასუხს არ იძლევა. მშვენიერება სიჩქარისათვის არის, საოცნებოა. მაგრამ სიჩქარისა და ოცნების მწვერვალი კი სიკვდილია. ცხოვრებას ზნეობრივ საფუძველს ვერ წაართმევ: დაღება ისეთი დრო, როდესაც არაფერს არ ექმნება ფასი, ყოველივე სულ ერთი იქმნება და უგზურება კარებზე მოგაკაკუნებს.

უმრავლესობას, ხელოვნებაზე მოლაპარაკეს, არ ესმოდა ამ დილიდებისა. ამიტომაც მუდამ ერთი მეორეში რევდენ ორს არსებითად შეუფარდებელს დასაბამს, დასაბამს ცხოვრებისას, მორალურს, დასაბამს ნებისას და დასაბამს შემოქმედებისას, ესტეტურ მისტიკას.

ეს გაუგებრობა შეიძლება სქემატიურად სამის ფორმულით გამოისახოს.

„ხელოვნებას უნდა ჰქონდეს საბოლოო, ეთიური მიზანი; თუ არა და მაშინ იგი ბოროტებად იქცევაო“, ამტკიცებენ რელიგიისა და ზნეობრიობის სახელით მორალისტები ყველა დროისა. ასეცები და სტოიკები ამ მისტიკები, ქრისტიანები და წარმართები, ყველანი ერთნაირად უარყოფენ ხელოვნებას, როგორც მიზანსა და უარყოფენ პიროვნების სიწმინდის შეუღლებადობის სახელით.

„ხელოვნება სასარგებლო უნდა იყოსო“. ამას ამბობენ უტილიტარისტები და ხელოვნებას, როგორც მიზანს, ისინიც უარყოფენ სოციალურ ბედნიერების სახელით.

„მშვენიერება სძლევს ზნეობრივსაო. გარეშე მშვენიერებისა არ არსებობს არავითარი მიზანიო ყოველივე ნება-დართულიაო“—ამტკიცებენ ესტეტნი და მზად არიან, რომ მშვენიერების სახელით ყოველგვარ უზნეობას გამოეცხრონ.

მაგრამ სამივე ეს ფორმულა შეუწყნარებელია. არც ერთი არ არის მართალი.

ხელოვნება ზნეობრივ მიზანთა მიმდევარი, ხელოვნების უარყოფა მორალის სახელით—დიდი გაუგებრობაა.

ხელოვნება ზნეობრიობის გარეშე იმყოფება. მშვენიერება და საჭიროება შეიძლება ერთი მეორეს შეეხნენ ჩვენს გულში; მათ ბრძანებათა შეჯახება ხშირად აუცილებელია. მაგრამ გადავლახავთ თუ არა საზღვარს პირად ჩვენის არსებობისა და შეფასებისას—ორივენი ერთი მეორეს შორედებიან და უცხონი ხდებიან. როგორც ორი თავის თავადი, განსხვავებული საგანი, სულ სხვა და სხვა ზომისა და ღირებულებისა.

სოციალურ ბედნიერებისა და სარგებლობის გულისათვის, რომ ხელოვნებას გვირგვინი ავხადოთ, ეს კიდევ უარესი გაუგებრობა იქმნება და მით უფრო უცნაური, რომ, ესე ვითარი, გულისხმობს საკითხის გადაწყვეტილობას, იმ საკითხის, რომლის გადაწყვეტაც, გადაჭრა არ შეიძლება. ეს გახლავთ საკითხი კაცობრიობის საბოლოო მიზანისა. **შალვა დადიანი**





მე და შენ

(წერილის ნაგლეჯიდან)

ჩემო მოყვარულო!..

ხომ გახსოვს ის ნეტარი დღე, როდესაც ჩვენ ასე ძლიერად გვიყვარდა სამშობლო და ჩაგრული ხალხი.

აქი ჩვენც იმათი პირში ვიყავით, მათ ძუძუსზედ აღზრდილი...

...და მაშინაც კი, როცა ასე ძლიერად გვიყვარდა ერთმანეთი, გვეწყურადა ხალხის სამსახური და სამშობლოსათვის თავგანწირვა.

ჩვენ ამაზე ხშირად გვოლაპარკნია.

ერთმანეთს ვაუბედობასა და თავგამოუდებლობას ვუკიყინებდით...

„რა, რა უნდა იყოს ჩვენთვის ერთმანეთის სიყვარული, თუ არა ხალხი, თუ არა სამშობლო?.. იყოს წყველი ის, ვინც საკუთარი ბედნიერებისათვის“.....

მგრამ დრო გადიოდა...

მე შენი თვალები შემიყვარდნენ და მინდოდა მუდამ მეტკირნა მათთვის... აქი შენც გიყვარდი. შავს თვალბში გამჩნევდი... ორივეს გვიყვარდა ერთმანეთი...

მე და შენ...

...და მაშინ, როდესაც სამშობლო განსაცდელში იმყოფებოდა და ტანჯული ხალხი ბორკილების მსხვერველს შეუდგა, მითხარი, რა იყო ის ძალა, რომელიც მაშინ უფრო გვაახლოებდა, მჭიდროდ გვაკავშირებდა ერთმანეთთან?..

მითხარი, რა იყო ის ძალა, რომელმაც ზურგი შეგვაქცევინა სამშობლოს მომავლისათვის და ტანჯულ ხალხის განთავისუფლებისათვის?..

რა იყო ის ველური, უდრეკი ძალა, რომელმაც უველაფერი დაგვაიწყა გარდა „მე და შენ“ისა?..

მიპასუხე, ჩემო მოყვარულო...

რა იქნა ის ამაყობა, თავგანწირულება, სიბნე, ის გმირობა, რომელიც მუდამ თვალწინ გვეხატებოდა წმინდა მიზნად მე და შენ. რამ დაგვაიწყა ასე უეტრად ჩვენი, ერთხელ და სამუდამოდ არჩეული გზა? რამ?!

ნუ თუ?....

მგრამ... მე და შენ სინამდვილემ შეგვაშინა, ჩემო კარგო. მე და შენ თურმე სხვა არაფერი გვინდოდა...

მე მინდოდი შენ...

შენ გწადიდი მე...

მე და შენ...

და ყველა სხვა თავის გასამართლებლად შევბოხეთ.

არარადან შევქმენით... და განა ჩვენ ღმერთი ვიყავით?... არა!.. და ამიტომაც არა-რა გამოდგა... „არა-რა“...

უნიადავოდ შეთხზული დაირღვა... ილლი-უზები დაიმსხვრა... ბურუსი გაიფანტა და... ღმერთო ჩემო, რარივად შეგძრწუნდი და შეგკრთი, როცა ის...

...ტიტველი სინამდვილე დავინახე...

რა საშინელება იყო...

...ჰორიზონტზე მხოლოდ ჩვენდა ვჩანდით, მალა მკლავებ გადახლართული, ბაგებ დაკონილი, მთელის სხეულით ერთმანეთზე მიკრული და უზომო ნეტარებისაგან თავდავიწყებული... მე და შენ... ოჰ, რომ იცოდე ჩემო ძვირფასო, თუ რა საშინელებაა სინამდვილე...

„დაე, იგრილოს ქარიშხალი!“...

დაე, წალეკოს ეს უკულმართი, უმიზნო, უაზრო ცხოვრება და... ჩვენ გამოგვიმწყვილოს ქვეშ...

გამოგვიყენოს საძირკველად.

მე და შენ.

ახალი ცხოვრების საძირკველად...

მისთვის არა ერთის თავზე დადგმულა ეკლის გვირგვინი. ჩვენც სამუდამოდ ჩავიკლათ გულში ჩვენი მხურვალე სიყვარული. ამ ახალ ცხოვრებისათვის...

ჩვენი ცხოვრება და სიყვარულიც ზვარაკად შევიწიროს მის...

მე და შენ...

აკაკი პაპავა





ბრიფონ რამიშვილი

საბედისწერო დამბარა*)

დრამა სამ მოქმედებად

წარმოსადგენად ნებადართულია *Отз. Ками.*

№ 23397—1908 წ. 24 ნოემბრი

მომქმედნი:

- | | |
|--------------------|------------------|
| თავადი ელფთერი | ქნ. ციციხო |
| რეზ. ექიმი | თ-ლი იულიონი |
| ხვარამზე | თ-ლი მელიტონი |
| ხოდამ | ანდრო |
| ონინი | ტიტო (ახლოვანდა) |
| ფილაპე | შაქრო (თავადნი) |
| თ. მანუჩ. გალოგრა- | მახარობელი |
| ევგენი კორდელი | გლეხი |
| ზალიკო | სტუმარნი |
| | გლეხები და სხ. |

მოქმედება პირველი

სცენა: ამწვანებული ეზო. მარჯვნივ ქვის სხედის წინა მხარე აივანი. მარცხნივ—ბაღი. ზარდაზირ მესერი. შუაში ჰატარა ჭიშკარი. მესერს იქით მობიბინე ველ-მინდორი, თოვლით დაფენილი მთის მწვერვალები და მთხუნსუნე მდინარე. მესერს გადაღმ მარჯვნივ ჰატარა ბილაიე სოფ. ხარტიენისკენ. მარცხნივ კა—შარა-გზა. შუა სცენასე გრძელი და კოხტა მკადა, სუფრა გადაფარებული, ირგვლივ რაფდენიმე სკამი და ერთად სვარძელი, აივანს მოზრდილ ქილეშში ჩადგმული დამიანის ხეები ამშვენებენ. მკადასე დვას ერთი შნთან დოქა წყლით და წყრალი მალალი ბაკალი თავისი

*) ამ ბიუსის ნაწილი დაიბეჭდა ჟურ. „ფასკუნჯ-ში“ რადგან ჟურნალი შეჩერდა, ახლა სრულად ვებეჭდავ „თეატრსა და ცხობერებაში“.

ლაშქრით. ფარდას ახდისს კუდასებადან მოსიმის რადამის ხმა: „გადაციე, ამ დილით მობრძანდა თქო, გასწი ნუ გეშინან. ანას გერჩის“.

I

როდამი შემადის მარცხნის მხრიდან. გამხდარი, დაზრანკული მოხუცი, აცვია თაღხი ჩითის კაბა, ჭადარს თმებს შუი ცახციი უფარავს. ხელში მოზრდილი თაიგული უჭირავს და კონვერტში ჩადებული წერილი. **ხვარამზე** გამოდის იმვე დროს სხლიდან. თავდას ასული, ტურფა მიხვან-მოხვან და ღაზარაკი ნახი-ნარანო. აცვია შნთან ევროპიული ტანისამოსი.

ხვარ. (როდამს) ჩემთან მოვაქვს?
როდ. ჰო, ჩემო იაღონო. შენს ელიზბარს გამოუგზავნია.

ხვარ. (ჩამოთმეუკს სსხე-გაბრწინებული) მომტანი წვილა? პასუსს ხომ არ ელის?

როდ. მკითხა: „რეზიკო თუ მობრძანდაო“, და წვილა. (გადის)

ხვარ. (თაიგულს დაჭყინსავს და მკადასე დებს. მერე წერილს გახსნის და ნახი დამილით ჩათვალიერებს) ჩემო შევარდენო! (კითხვალბს თავისთვის, ცოტა ხნის შემდეგ) ოჰ, მეც შენი ვარ, ჩემო ბედის ვარსკვლავო, ჩემო სწორ-უპოვარო და საოცნებო ელიზბარ! (წერილს ფაქიხად დაკვებს და უბეშო ინახავს. მერე თაიგულს აკოტებს და გულზე მიახუტებს)

II

იკვე და როდამი

როდ. (გამოდის მარცხნივ მხრიდან. შემოაქვს მოზრდილი ჭიქა, დოქიდან წყალს ჩამოასხამს, თაიგულს ჩამოთმეუკს, დვამს ჭიქაში და მკადასე დადებს). აი, ახლა კი აღარ დისკვენბა შენი თაიგული.

ხვარ. (აკოტებს მას ტუჩაში)

როდ. (ხვარამზეს) გაიღვიძა?

ხვარ. ჰო, პირიკ დიბანა და ახლა ბარგს ალაგებს. სცაა გამოვა კიდევ.

როდ. ძლივს, ძლივს ჩავიგდეთ ხელში დაკარგული კაკი. მისი ჭირიმე! რამენატრება...

ხვარ. (ოღნავ გაოცებული) როგორ,--ჯერ განა არ მისაღმებინარ?

როდ. მოსლმისას არ მეცალა. შორიდან მოკარ თვალი, მანამ მოვარჩებოდი, ჩასძინებოდა კიდევ. როგორ არის?



ხვარ. ვამხდარა. ავად უნდა იყოს.

როდ. სხვაფერე ნურა დაუშვადებდა-რა, თორემ მაგას ადვილად ეწამლება. თუ ამ ზაფხულს ჩვენთან გაატარებებს, პირობას გაძლევ ბურვაკივით ვაგასუქა.

ხვარ. მართლაც უნდა ვიღონოთ რამ, თორემ მისი მიმქრალი თვალები კარგს არას გვიქადაინ.

როდ. ნუ გეშინიან, გენაცვალე, ნუ გეშინიან!

ხვარ. ყველა იმის შემდეგ მოდი და ნუ შეგეშინდება. ეს ერთი ძმა ლა შემირჩენია ლე თუ...

როდ. ხვარამზე! ნუ იცი ხოლმე ეს გავზვიადება! გახდა? რა ვუყოთ მეჩე? ალბათ ღიღი ჯაფას დაუქანცავს. მაშე ეს სახელი და საყოველთაო სიყვარული ადვილი საზოგნელია? უმჯობესია ეს შევი ფიქრები გადაიყარო გულიდან.. სიხარული გმართებს, ქალო, სიხარული! მოგივიდა ძმა, რომელიც შენს საქმეს გაჩარხავს და გაგაბედნიერებს.

III

ივანევე და რეზიკო

თავ. რეზ. (გამოდის სხსიდან. 28—30) წადის სიმპატური სხსის კაცია. აცვია შნათანი ეურთაული ტანსამოსი. მარჯვენა მკადაზე სიმგლოფიარო ღუნტა ჰქვს გადაჭრული. თვალეზე ოქრის ვარჯუანი ზეხსხე)

როდ. შენი კირიმი! ამას რას მოვესწარ! (გაუქანება მისკენ, მაგრამ უეცრად რადაცანს წაჭყრავს ფეხს და ჩაიბოქებს. რუზაკო და ხვარამზე მოუშელებიან და აყუენებენ. რადამა მას გულში ჩაყრავს)

რეზ. ჩვენი გალია, ძვირფასი როდამ! ძლიერ იტკინე ფეხი?

როდ. ოღონდ შენა მყვანდე კარგად, თორემ ეს ვახროკებული ძელები მეწყერსაც წაუღია.

რეზ. (ახვად-ახვად) სხვა? როგორ გიკითხო? როგორ ცხოვრობ? რას იქმნიან შენი ზაფრის ქარები და სივრილ-სიფიცხე?

როდ. ოჰ, შენ კი გეთაყვანე მავ ჩაქათებულ კიქებში!

რეზ. ღმერთო ჩემო! ეს ადამიანი რაც ღრო მიღის, მით უფრო ყოჩაღდება.

როდ. ოჰ, სიყოჩადე კი არა, სულს კბილით დავათრევ. ვემუღარები იმ დალოცვილ ღმერთს

საიქო მოსვენებას, მაგრამ მიინც არა მეშელო რა, სჩანს დამიფიწყა..

რეზ. მოესწრობი მაგასაც.

როდ. მაშე ვისთვის რა ვამოსადეგია, შევილო, ვამოტრეტებული დედაბრის სიცოცხლე?..

რეზ. შენი სიცოცხლე გვეკირია ჩვენ (ხვარამზეზე შეუთითებს) და ყველა შენიანებს. დედაჩემთან ერთად შენი სახეც თვალწინ მედგამუდამ. ხან-და-ხან დიდი მწუხარების დროს მაგონდები და სიამოვნებით შევსება გული. ვინ იცის, რადენი ტკბილი მოგონებაა შენს სახელთან ვადახლართული. (შუბლზე შიადესს მარჯვენა ხელს და ტეფილისკან დაწვდა დაღრუჯება)

როდ. უი მოგიკვდეს ჩემი თავი. ავად ხომ არა ხარ?

რეზ. ჰო, თავი მტკივა... მაგრამ არაფერი, მალე გაივლის.

ხვარ. (ამოახხრებს)

რეზ. (შენიშნავს მას და მავა მისთან) ხვარამზე! რათ ამოიხობრე რამ შეგაშინა? განა ცველები, ჩემო კარგო! (შუბლზედ აჯოგებს) როდამ! ჩვენი მისის ვარლ საარაკოდ იფურჩქნება. (თმაზე უსვამს ხელს)

როდ. (შირჯუვანს გადასწერს) იმიტომაცაა რომ ქვეყანა თავს დასტრილიებს, მაგრამ ვერ მივართვი. ენაცვალოს როდამი.

რეზ. როგორ არის თვეზების ჯალიათი!

როდ. არისე? ვმადლობ უფალს... ჯერ-ჯერობით თანა უშვავს-რა.

რეზ. ხომ ისევ ჩვენი მოურავია?

როდ. განა მე და ჩემ ბიქს უოქვეწოდ გავექობება?

რეზ. მენატრება. მალე მოვა?

როდ. ბროლიეთში წავიდა წუხელ. საღამომდე ვერ დაბრუნდება. იმასაც ძლიერ ენატრები.

რეზ. ცოლ-შვილი როგორა ჰყავს?

როდ. კარგად.

რეზ. შვილის შვილი ხომ კარგად სწავლობს?

როდ. (განსე) ენაცვალე, ყველაფერი ახსოვს. (რუზაკოს) ჩინებულად. თუ მაცხოვარი შენს ნუგეშს არ მოგვაცლებს, ყველანი კარგად მეყოლებიან.

რეზ. მიხარიაან. სხვა? სოფელში კუდიანს კიდევ გეძახიან?

როდ. ვააკუდიანოს ღმერთმა, ვინც მე ეს დამწამა.



ჩეზ. (ხელა ხსრხარებს) როგორ იყო, რომ მოგიგონეს: „მგელს მოაჯდება ხოლმე და კლდე-ღრეებში დაჯირითობსო?“ (ხსრხარებს ხელა)

როდ. შენი ოხუნჯობის ქირიმე, შენი. (ხვარამხეს) ესეც ჩვენი ავადმოყოფი. ქალო, ნუ მოგიწყენია. საიმისო არა უჭირს რა. აბა ახლა კი წვაღ და სადილის თადარიგს შევეუდგები. (გადას)

ჩეზ. (მანართის გაათვლებს, გაუღას და უფროვე ხვარამხესთან გაჩერდება) გოგონა! შენმა წერტილმა უზომოდ გამახარა, გულიდამ ბინდი გადამიყარა და რაღაც იმედებით ამივსო იგი. არჩევანი საუცხოვოა, ქალო, თუმცა ის კი არ მომწონს, რომ ასეთი მორჩილი და თვით-მოქმედებას მოკლებული ქალი ხარ. დროა ჩამოყალიბდეს. მაგრამ არა უშავს რა. თავის დროზე ყველაფერი გამოსწორდება. მაშინ შენი გულის ნადები მამას ძია ვიქტორმა გაუმეღავენა?

ხვარ. ჰო, და ისიც ჩემი თანა-დასწრებით. ისე, მოულოდნელად, და ამით ღიღი უსიამოვნება მომაცენა.

ჩეზ. შელაპარაკდენ?

ხვარ. მისთვის ხმაც არ გაუცია, მხოლოდ მე კი ძლიერ დამტუქსა მეორე დღეს და გადაქრილი უარიც მითხრა. აბა ახლა თითონ განსაჯე, იმ მკაცრი პასუხის შემდეგ რაღა შეთქმის? ვიცი ჩემი ურჩობა მას სიცოცხლეს მოუსწრაფებს და მიტომ ვითმენ.

ჩეზ. (მოწვენილად გაღამ მხარეს უჭყრეტს) ხარატიენში ხშირად დადიხარ?

ხვარ. აბა ვისთან? ერთი ბიძა გვყავდა და იმანაც თავი მოიკლა. განა არ იცი, იქ სხვა ნაცნობი არა გვყავს?

ჩეზ. უნდა გავხიდე ხოლმე დრო-გამოშვებით, ჩემო კარგო, ინახულო საფლავი, ყვავილები მორწყო, ძველს მტვერი და ჭუჭყი მოაშორა. განა ისე მალე მოგძულდა იმ ყაცის ხსენება, ვისი გულიც ჩვენდამი სიყვარულით იყო აღსავსე?

ხვარ. რას უზამ მამას. ბევრჯელ მოვიწადინე, მაგრამ არ გამიშო. —მეზინიან კრული მიდამოსო, დამეც ვერ გავუტყებ ხათრი, მაგრამ ჩემ მაგივრობას იქ ერთი კმაწვილი კაცი ეწევა.

ჩეზ. ნუ თუ ელიზბარ?

ხვარ. (ხაზა დამაღათ) დიაღ!

ჩეზ. მშვენიერი და საყვარელი კაცი!

ხვარ. რომ იცოდეს როგორ გააკობტავა და რა თვალწარმტაცია არშია შემოურგო ირგვლივ საფლავს.

ჩეზ. მეგერა. კარგად ვიცნობ მის მარგალიტ ხელებს და საარაკო სიფაქიჭეს! (თავგულისხმობს)

ხვარ. ხომ არ გშია?

ჩეზ. არა.

ხვარ. სადილობას კიდევ ბევრი უკლია და ცოტას თუ შენაყრდები...

ჩეზ. არაფერიც არ მინდა.

ხვარ. როგორც გენებოს. (მეტარს ზეჰსა)

ჩეზ. ძია ვიქტორს სიკვდილის წინა-დღეებში ხომ არ შემოუვლია ჩვენსა?

ხვარ. იყო.

ჩეზ. შეამჩნიეთ რამე?

ხვარ. ღიღი ცვლილება.

ჩეზ. მაგალითად?

ხვარ. საშინლად იყო გავითრებული და აზრებიც ებნეოდა. გამოთხოვებისას ორივე ჩაგვიკრა გულში, წუთის შემდეგ სასაფლაოზე გაჩნდა და იტორა... იმ გულსაკლავმა მოთქმამ კინაღამ შეგვშალა. მთელი სოფელი ყურს გვიგდებდა სულგანახული და ჩვენი ცოდვით იმდღურებოდა. მერე კი აღარ მინახავს. ბოლო ხანებში სულ შინ იჯდა თურმე და ოთარაშიღს გარდა არავის იღებდა. სოფლად ათას გვარ ქორებს ავრცელებდენ.

ჩეზ. რაო?

ხვარ. „მთელ ლამეებს სასაფლაოზედ ათენებდა და მიცვალბებულებს ელაპარაკებოდა“ ანდა კიდევ „მულამ შებინდებისას მის ეზოში ქინკები იყრიდენ თავს, ძია თარს უკრავდა და ისინი კი ცვეკვდენო“.

ჩეზ. მე არ ვუხსენებია?

ხვარ. გახსენა გამოთხოვებისას, „გადაცეთ რეზიკოს, რომ დამბაზა მალე მისი საკუთრება იქმნებო“. ამის გავგონებაზე მამას მიწის ფერი დაეღო. ოჰ, რეზიკო! რომ იცოდეს რაოდენი ტანჯვა მოგვაცენა ჩვენ იმ დამბაზამ.

ჩეზ. როგორ?

ხვარ. დასაფლავების მეხუთე დღეს ოთარაშიღმა გამოიტანა ის დამბაზა წერილთან ერთად.



რეზ. ვის სახელზე იყო წერილი?

ხვარ. მამის სახელზე.

რეზ. შენახულია?

ხვარ. არა. ისეთი საზარელი შინაარსისა იყო, რომ მამამ იმ წამსვე დასწვა და ფერფლი ნიავს გაატანა.

რეზ. რა ეწერა შიგ?

ხვარ. აი რა: „საგვარეულო დამბაჩას ვუტოვებს ჩემს დისწულს რეზიკოს იმ შემთხვევისათვის, თუ ოდესმე თავის მოკვლას განიზრახავდა“. ეს რომ წავიკითხეთ, ორივეს თვალთ დაგვიბნელდა. მიუხედავად იმისა, რომ ბედისწერისა არა მწამს რა, მაინც შევშინდი. მამა ხომ სულ დაცა სულით. ეს ოდესღაც გმირი კაცი, რომელიც ვგონებ ლომსაც შეებმოდა წარბ-შეურხველად, რაღაც მოეშვა, მოიხარა და მანამ ვერ მოისვენა, სანამ ბევრი ვაი-ვაგ-ლახის შემდეგ ერთ ცხრა-მთას იქითელ კაცს არ მიაჩენა. ჩვენში ვისაც შეაძლია, ყველამ უფარი უთხრა, — „გვეშინიანო!“ და მის შესახებ აკი ყველაფერი მოგწერა? ხომ მიიღე?

რეზ. მივიღე...

ხვარ. იმედია გვაპატივებ და გულშიაც არას ჩინარჩუნებ, რადგან ყოველივე შენი კეთილ-დღეობისათვის ჩავიდინეთ; გვეშინოდა. გიფრთხილდებოდით. შენ ხომ ჩვენი ხატება და ერთად ერთი იმედი ხარ. გრწამდეს, რომ უშენოდ ჩაჰქრება ჩვენი ცხოვრების ლამაზი და ოჯახიც დაიქცევა.

რეზ. აბა ახლა ცოტა გავისიერნოთ და გზა-გზა შენს საქმეზე მოვილაპარაკოთ. (შადანს ხელი-ხელ გაურადნი მარცხნივ)

IV

თ-დი ელეფთერი და თ-დი მანუჩარი

(შემოდანს სენჩის სიღრმადან. თ—დი ელეფთერი წარმოსადგეი და დარბაისელი მოხუნდა, ზგვაა შავი ჩერქეზული ტანისმოსო. თ—დი მანუჩარი სამსხურ —თავღანებულოა ეკერადა. იმსაც ჩერქეზულად აგვაა. სმალად არტუა, ხოლო მხრებზე კბალეუტები უბრწყინავს. სიმკაცრე ემწნევა)

თ-დი ელეფთერი. (შეოჟოჟდება) მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით! თქვენი ხილვით ჩემი სიხარული უსაზღვროა.

თ-დი მანუჩარ. (თავს უკრავს) გმადლობ თავადო. სიხარულის მეტი მეც რაღა დაბრჩენია.

ელ. (მობრუნდება მარცხნივ მხრისკენ) ფილიპე, ფილიპე! (შემოდის ფილაპე)

V

ივანიეუ და ფილიპე

ელეფ. (გაიხიბოს და ხმა-დაბლა ელაპარაკება). მანუჩარი ამ დროს კარ-მიღამოს და ანე-მარეს ანე-ვალიურებს) გაიქე, უბრძანე ჩემს მგვიერ ზაქარიას—სტუმრის ცხენები დააბინაოს, ბოლახი ბლომად! მეეტლეს შეუძებით სახლში და პატივი ეციო. გადაეცი აგრედვე როდამს, სადილი დააჩქაროს, ამოიღეთ ძველისძველი ღვინო. გასწი!

ფილ. ბატონო ბრძანდებით. (გადას)

ელეფ. (მანუჩარს) მივატოვეთ განა!...

მან. სამაგალითო კარ-მიღამო გქონიათ, თ-დო ელეფთერი. ლამის მუხლი მოვიდრიკო ამ ელემის წინაშე.

ელეფ. აზვიადებთ, ბატონო, აზვიადებთ.

მან. არა. მართალს ვამბობ, ამ სამოთხისებურ ხეობისა და ტყე-მინდორ-ველთა პატრონს მართლაც შეუძლიან იამაყოს.

ელეფ. (თავს უკრავს) დიდი მადლობა შენი ჭირიბე! (უჩვენებს სუბაქსეზე) ვთხოვო!

მან. (უჩვენებს თათაი) აი ის ფერღაბაც თქვენი საკუთრებაა?

ელეფ. არა. ოდესაც იყო ჩემი. ახლა-კი გლეხებისა, ამ ხუთი წლის წინეთ მუქიად გადავეცი.

მან. (აქნისება) ხომ არ შეიშალეთ?

ელეფ. როგორ, ბატონო?

მან. თ-ო! რას ფიქრობდით მაშინ, როცა ასეთს მარვალიტს წუნკლებს უფლებდით ხელში? (განსე) „გლეხებს ვადასცა მუქიად“, როგორ მოგწონთ ჰა? (ელეფთერს) მავათთვის არა თუ ასეთი დიდებული საუნჯე, —ხრიოკი —კი არ უნდა გიმიეტოს კაცმა, ხრიოკი!

ელეფ. (მხრებს აჩვენებს) რას იზამთ, ყველას თავისი სახომი აქვს. უნდა მოვახსენოთ, მე უკიდურესი ფეოდალი არასოდეს არა ვყოფილვარ და გლეხებსაც არა დაუშავებიათ რა ჩემთვის.

მან. მთელი ჩვენი უბედურებაც მაგაშია სწორედ. არა, ბატონო... პირში მთქმელი კაცი ვარ და ნურას უკაცრავად, თუ გაწყვიტეთ. თქვენისთანების ლობობიერებამ დააქვეითა ბრწყინ-

ნაკლებად ვიწინააღმდეგებოდა. გულჩვილობით იქ, საცა შოლტი უნდა ტყლაშუნებდეს, შოლტი.

ელეფ. (გულგულისხმად ხარხარებს)

მან. უმჯობესია სხვა საგანს შევეხოთ, სულ ერთია, ვერ მოვრიგდებით.

ელეფ. მეც მაგრე მგონია.

მან. მაშ, გათხოვთ განაგრძოთ ის ამბავი.

